

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ 2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საკრებულოს წევრის სახელი გვარი - ბახვა დოლიძე

თანამდებობის დასახელება - ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარე

კომისიის დასახელება - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის, სამანდატო-საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის, კომისიები.

ფრაქციის დასახელება - ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) - #60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქი, პარტია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს პარტიული სიით.

საანგარიშო პერიოდი 01.01. 2020 - დან 31.12. 2020 - მდე.

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) წლიური გეგმიური ანგარიში.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა -17;

ა) საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 17;

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა -25;

ა) კომისიის სხდომებზე დასწრება -25;

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა -12;

ა) ფრაქციის სხდომებზე დასწრება -12.

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები

2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის წარდგენისას, გავახმოვანე რამდენიმე წინადადება-სურვილი, მათ შორის ერთ-ერთი ეხებოდა ბიზნესის ხელშეწყობას. არსი მდგომარეობდა შემდეგში, მერიის სოფლის მეურნეობის ან ეკონომიკის განყოფილებაში შექმნილიყო ჯგუფი, რომელიც გაანალიზებდა ბაზარზე არსებულ მდგომარეობას და საინვესტიციო გარემოს დაინტერესებულ მეწარმეთათვის. მე ვერ ვიტყვი, რომ მერიამ ამ წინადადების საფუძველზე იმსჯელა, მაგრამ ეკონომიკური სამსახურის ეფექტურად მუშაობისათვის დებულებაში შეიტანა ცვლილება, რომლის მე-6 მუხლის ბ; გ; დ; და ე პუნქტები ითვალისწინებს ბიზნესის ხელშეწყობის ღონისძიებებს. აღნიშნული ცვლილება დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად.

ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა 1-დადგენილება, 1 განკარგულება

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანო საკითხები

ჩემს მიერ მხარდაჭერილი იქნა: - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი, რომლის განხილვაში აქტიურად მივიღე მონაწილეობა, როგორც საკრებულოს წევრმა ასევე ფრაქციულ რეჟიმში და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნა;

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების და ქონების მართვის სამსახურის დებულებაში ცვლილების შეტანის პროექტი. ვფიქრობ, რომ აღნიშნული ცვლილებები უფრო ეფექტურს გახდის მერიისა ამ სამსახურის საქმიანობას;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის წესის დადგენას. ვფიქრობ, რომ ამ წესის არსებობა დაარეგულირებს მუნიციპალიტეტისთვის პრობლემურ საკითხს;
- საკონკურსო პროექტს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიზნესის განვითარება ინფრასტრუქტურის მოწესრიგების გზით“ ვფიქრობ ინფრასტრუქტურის განვითარება ხელს აგროტურიზმის განვითარებას;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის შესახებ. ვფიქრობ, რომ აღნიშნული რეგულაცია წაადგება საგზავრო გადაყვანის ეფექტიან წარმართვას.

6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა

ამ საანგარიშო წლის პერიოდში, საკრებულოში შემოსული იყო საკითხები, რომლებიც პირადად ჩემში კითხვით ნიშნებს შეიცავდა. კომისიური და ფრაქციული მუშაობის შედეგად ყოველ წარმოქმნილ კითხვაზე გაცემული იქნა კვალიფიციური პასუხი. აქედან გამომდინარე საკითხზე მხარის არ დაჭერა არ დამიფიქსირებია.

7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა არ დამიფიქსირებია და შეხვედრებზე ვიცავდი ქვეყნის მიერ დადგენილ რეგულაციებს.

8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

მოქალაქეებთან შეხვედრები არ შეწყვეტილა პანდემიის პირობებში და ის იმართებოდა რეგულაციების სრული დაცვით. მათთან შეხვედრების და სატელეფონო კომუნიკაციის დროს წამოჭრილ საკითხთა უმრავლესობა ეხებოდა სოციალურ დახმარებას, როგორც ფულად ასევე სურსათით და მედიკამენტებით.

გარდა აღნიშნულისა მოთხოვნა იყო ინფრასტრუქტურის მოწყობის შესახებ, კერძოდ ნ. დუმბაძის ქუჩის მე-2 შესახვევის მოსახლეობა ორი წელია ითხოვს 60 გრძივი მეტრი გზის ასფალტის საფარის მოწყობას.

სამოქალაქო ბიუჯეტით დაფინანსებული და რეაბილიტირებული ლაშეს სტადიონის მოსარგებლე საფეხბურთო სკოლის პერსონალი ითხოვს კანალიზაციის დაერთებას სისტემასთან მის გარეშე ვერ ხერხდება გასახდელების ფუნქციონირება.

გამოიკვეთა დასაქმების მსურველთა გარკვეული რაოდენობა, რომელთა მცირე ნაწილი საკუთარი კავშირებით აყვანილი იქნა დროებით სამუშაოზე, მსურველთა გარკვეულ ნაწილს ვურჩიე პროფესიული გადამზადება, ხოლო ზოგიერთის თხოვნა სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებით აღემატებოდა ჩემს შესაძლებლობებს.

მოქალაქეების მოთხოვნებს აგრეთვე ვიხილავთ კომისიურ რეჟიმში და ვღებულობთ ჩვენი კომპეტენციის საზღვრების შესაბამის გადაწყვეტილებას.

9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

მოქალაქესთან თითოეულ წამოჭრილ საკითხზე რეაგირება დახმარება ხდება იურიდიული პროცედურის დაცვით, რომელიც შეიცავს განცხადების დაწერას საჭირო დოკუმენტების მოგროვებაში დახმარებას, კონსულტაციის გაწევას. მუნიციპალიტეტის მერია შესაძლებლობის ფარგლებში აკმაყოფილებს მოქალაქის მოთხოვნას.

10. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

მონაწილეობას ვიღებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული საბჭოს საქმიანობაში;

მონაწილეობა მივიღე სამოქალაქო ბიუჯეტით დასფინანსებული პროექტის „ოზურგეთის დაკიდული ბაღების მოსამზადებელი ეტაპის მხარდაჭერაში“.

გუნდთან ერთად აქტიურად ვმონაწილეობდი 2020 საპარლამენტო არჩევნებში.

გარდა აღნიშნულისა ვეწევი სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში.

და ბოლოს მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს აპარატს სანიმუშო მუშაობისათვის და დახმარებისათვის, ჩემი როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებაში.

შევსების თარიღი 03. 02. 2021 წ.

წარდგენის თარიღი 04.02.2021 წ.